(გაითვალისწინეთ, რომ ქართული თარგმანი მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის და არ გააჩნია იურიდიული ძალა)

NASDAQ-ის ხელმომწერის ხელშეკრულება

ხელმომწერმა ხელი უნდა მოაწეროს კონტრაქტს, რომელსაც ჰქვია „NASDAQ Stock Market, Inc.-ის (შემდგომში, NASDAQ) ხელმომწერის ხელშეკრულება“ (შემდგომში, ხელშეკრულება), რათა NASDAQ Stock Market, Inc.-ისგან (შემდგომში, NASDAQ) მიიღოს ინფორმაცია [იხილეთ ინფორმაციის განსაზღვრება ხელშეკრულების 1-ელ პარაგრაფში]. მართალია, ყველა პირობა მნიშვნელოვანია, მაგრამ, გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ქვემოთ მოცემულ პირობებს. თითოეული ამ პირობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ყოველი პირობის ბოლოს მოცემულია პარაგრაფის ნომერი, რომელიც მიუთითებს ხელშეკრულების იმ პარაგრაფზე, სადაც მეტი ინფორმაციაა მოცემული.

გამოყენებისა და გადაცემის შეზღუდვა: ხელმომწერს არა აქვს უფლება, უზრუნველყოს ინფორმაციაზე წვდომა სხვებისთვის ან გადასცეს ხელშეკრულება სხვებს. ინფორმაცია მხოლოდ პირადი არაპროფესიონალური გამოყენებისთვისაა ან, თუ პროფესიონალი ხელმომწერი ხართ (იხილეთ განსაზღვრება ხელშეკრულების 1-ლ პარაგრაფში), შიდა საქმიანი და/ან პირადი გამოყენებისთვის [პარაგრაფი 3].

ზარალის უმეტესი კატეგორია გამორიცხულია, ხოლო დანარჩენი ზარალი ლიმიტირებულია: NASDAQ-ი არ არის პასუხისმგებელი სავაჭრო დანაკარგებზე, დაკარგულ შემოსავალზე, ან შემთხვევით, თანმდევ თუ სხვა ირიბ ზარალზე მაშინაც კი, თუ ინფორმაცია დაგვიანებული ან არასწორია. სხვა ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მკაცრად არის შეზღუდული (კონტრაქტით, დელიქტით ან სხვაგვარად) დადგენილ ზედა ზღვრამდე. [პარაგრაფები 9 და 10]

ნაგულისხმევი ან სავალდებულო გარანტიები ან მოვალეობების არარსებობა: ყველა გარანტია და მოვალეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაუქმებულია. არ არსებობს ცალსახა გარანტია გარდა ლიმიტირებული გარანტიისა, რომელიც ეხება მხოლოდ ძალისხმევას.

აქციების კვოტირება შესაძლოა არ იყოს მიმდინარე ან ზუსტი. [პარაგრაფი 9]

ხელმომწერები უზრუნველყოფენ დაცვას პასუხისმგებლობისგან და ანაზღაურების გადახდის მოთხოვნისგან: ხელმომწერი ათავისუფლებს NASDAQ-ს პასუხისმგებლობისგან და ანაზღაურების გადახდისგან ნებისმიერ იმ მოთხოვნასა თუ დანაკარგთან (იხილეთ განსაზღვრება ხელშეკრულების 1-ლ პარაგრაფში) მიმართებით, რომელიც გამომდინარეობს ხელმომწერის მიერ ხელშეკრულების დარღვევიდან, ხელმომწერის მიერ მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევიდან ანდა მესამე მხარის სასამართლო სარჩელიდან, რომელიც ეხება ხელმომწერის მიერ ინფორმაციის გამოყენებას ან მიღებას [პარაგრაფები 13 და 14].

ნიუ-ჯერსის კანონების და სასამართლოების გამოყენება: ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან, რეგულირდება შეერთებული შტატების და ნიუ-ჯერსის შტატის კანონებით, ხოლო დავები განხილული უნდა იქნეს მხოლოდ ნიუ-ჯერსიში.

სიტყვიერი შესწორებები არ დაიშვება და შესწორების უფლება აქვს მხოლოდ NASDAQ-ს: არ შეიძლება ხელშეკრულებაში შესწორების სიტყვიერად შეტანა; ხელშეკრულების შესწორების უფლება აქვს NASDAQ-ს ხელშეკრულებაში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, რაც მოიცავს შეტყობინების გაგზავნას ხელმომწერისთვის ან ვენდორისთვის. თუ ხელმომწერი არ შეწყვეტს ხელშეკრულებას შესწორების შეტანამდე ანდა გააგრძელებს ინფორმაციის გამოყენებას შესწორების შეტანის შემდეგ, ასეთი ქმედება ჩაითვლება ხელმომწერის თანხმობად (ანდა ადრინდელი თანხმობის დადასტურებად) შეტანილ შესწორებაზე. [პარაგრაფები 17 და 21]

ვენდორი ზეგავლენას ახდენს ხელმომწერის უფლებებზე, მაგრამ არა NASDAQ-ის უფლებებზე: ვენდორი არ არის უფლებამოსილი, შეცვალოს ხელშეკრულება. ვენდორები ვალდებულნი არიან შეატყობინონ ხელმომწერს NASDAQ-ის ცვლილებების შესახებ, მაგრამ თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, NASDAQ-ის შეტყობინება, მათ შორის გაუქმების შეტყობინება, მაინც არის ძალაში როგორც ვენდორისთვის, ასევე ხელმომწერისთვის [პარაგრაფი 1 და პარაგრაფი 17]

ხელშეკრულება წარმოდგენილია ქვემოთ. თუ თქვენ მინიმუმ 18 წლისა ხართ, მოაწერეთ მას ხელი როგორც პროფესიონალმა ან არაპროფესიონალმა ხელმომწერმა თქვენი სახელის ან ხელმოწერის სხვა სიმბოლოს გამოყენებით ქვემოთ, ხელმოწერის ნაწილში მოცემული „ხელმოწერის“ შესაბამის პწკარზე (პწკარებზე).

ხელმომწერის ხელშეკრულება

ვენდორს და მის აგენტებს არა აქვთ უფლება, შეაცვალონ ან უარყონ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი მოდიფიკაცია, რომელიც არ არის განხორციელებული NASDAQ-ის მიერ, ითვლება ბათილად.

1. სიტყვა „NASDAQ“ ნიშნავს The NASDAQ Stock Market, Inc.-ს და მასთან დაკავშირებულ პირებს. სიტყვა „ინფორმაცია“ ნიშნავს კონკრეტულ მონაცემებს და სხვა ინფორმაციას, რომლებიც ეხება ფასიან ქაღალდებს ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს, პროდუქტებს, ინფორმაციის გადამცემ არხებს ან მოწყობილობას; ანდა ეხება NASDAQ-ის მიერ რეგულირებულ პირებს ან NASDAQ-ის საქმიანობას; ანდა შეგროვილია NASDAQ-ის მიერ სხვადასხვა წყაროდან. ფრაზით „მოთხოვნები ან დანაკარგები“ აღინიშნება ნებისმიერი და ყველა დავალიანება, ვალდებულება, დანაკარგი, ზარალი, ჯარიმა, მოთხოვნა, სასამართლო სარჩელი, სასამართლო განხილვა, ხარჯი, სასამართლო გადაწყვეტილება, ანგარიშსწორება და ნებისმიერი სახის დანახარჯი, რომელიც განიცადა პასუხისმგებლობის და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნისგან გათავისუფლებულმა მხარემ ან მესამე მხარემ ანდა წარედგინა

პასუხისმგებლობის და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნისგან გათავისუფლებულ მხარეს ან მესამე მხარეს, მათ შორის, შეუზღუდავად, (ა) ირიბი, საგანგებო, სადამსჯელო, თანმდევი ან შემთხვევითი დანაკარგები ან ზარალი (მათ შორის, შეუზღუდავად, სავაჭრო დანაკარგები, დაკარგული მოსალოდნელი მოგება, დანაკარგი ოპერირების დახურვის ან ოპერირების გაზრდილი ხარჯების გამო, და სხვა ირიბი დანაკარგი და ზარალი) და (ბ) ადმინისტრაციული ხარჯები, საგამოძიებო ხარჯები, სასამართლო პროცესის ხარჯები, აუდიტორების და ადვოკატების ჰონორარები და ხარჯები (მათ შორის შიდა პერსონალის). სიტყვა „პირი“ ნიშნავს ნებისმიერი ფიზიკურ პირს, მესაკუთრეს, კორპორაციას, პარტნიორობას ან სხვა ორგანიზაციას. ფრაზით „არაპროფესიონალი ხელმომწერი“ აღინიშნება ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის: (ა) რეგისტრირებული ან რაიმე სტატუსით კვალიფიცირებული „ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟების კომისიაში“ (SEC), „სასაქონლო ფიუჩერსების სავაჭრო კომისიაში“, რომელიმე ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო სააგენტოში, ფასიანი ქაღალდების ბირჟასა ან ასოციაციაში ანდა რომელიმე სასაქონლო ან ფიუჩერსული კონტრაქტების ბაზარზე ან ასოციაციაში; (ბ) არ ასრულებს „საინვესტიციო კონსულტანტის“ ფუნქციას, ამ ტერმინის იმ მნიშვნელობით, რომელიც განსაზღვრულია 1940 წლის „საინვესტიციო კონსულტანტების შესახებ“ კანონის 201(11) მუხლში (მიუხედავად იმისა, არის თუ არა რეგისტრირებული ან კვალიფიცირებული ამ კანონის შესაბამისად); ანდა (გ) არ ჰყავს დაქირავებული ბანკს ან სხვა ისეთი ორგანიზაციას, რომელიც გათავისუფლებულია რეგისტრაციისგან ფასიანი ქაღალდების შესახებ ფედერალური ან სახელმწიფო კანონებით, ისეთი ფუნქციების შესასრულებლად, რაც მოითხოვს რეგისტრაციას ან კვალიფიცირებას თუ ასეთი ფუნქციები სრულდება ისეთი ორგანიზაციისთვის, რომელიც არ არის ამგვარად გათავისუფლებული. ფრაზით „პროფესიული ხელმომწერი“ აღინიშნება ყველა სხვა პირი, რომელიც არ შეესაბამება არაპროფესიონალი ხელმომწერის განსაზღვრებას. ცალკე გამოყენებული სიტყვა „ხელმომწერი“ მოიცავს ყველა არაპროფესიონალ და პროფესიონალ ხელმომწერს. ფრაზა „ვენდორის მომსახურება“ ნიშნავს ვენდორის მიერ გაწეულ მომსახურებას, მათ შორის მონაცემთა დამუშავების აღჭურვილობას, კომპიუტერულ პროგრამებს და მათთან დაკავშირებულ საკომუნიკაციო საშუალებებს, რომლებითაც ხდება ინფორმაციის მიღება, დამუშავება, გადაცემა, გამოყენება და მიწოდება ხელმომწერისთვის ან ხელმომწერის მიერ.

2. ხელმომწერს ენიჭება უფლება, მიიღოს ინფორმაცია NASDAQ-სგან ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად ანდა NASDAQ-ის წესების შესაბამისად. „NASDAQ-ის წესები“ ნიშნავს ყველა შესაბამის კანონს (მათ შორის კანონებს ინტელექტუალური საკუთრების, კომუნიკაციების და ფასიანი ქაღალდების შესახებ), ნორმატიულ აქტს და რეგულაციას, SEC-ის წესებს და რეგულაციებს, NASDAQ-ის წესებს და რეგულაციებს, მათ შორის, და არა მარტო, NASDAQ-ის წესების პაკეტის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს (SEC-ის თანხმობით, რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს), NASDAQ-ის გადაწყვეტილებებს და ინტერპრეტაციებს და მომხმარებლის ნებისმიერ სახელმძღვანელოს, ანდა NASDAQ-ის წესების კომპონენტების სამართალმემკვიდრეებს, რომლებიც შეიძლება არსებობდეს იმ დროს. თუ ამ ხელშეკრულების შესაბამისად პროფესიონალ ხელმომწერებს უშუალოდ NASDAQ-ისთვის აქვთ რაიმე გადასახდელი, გადახდა უნდა მოხდეს NASDAQ-ისთვის სრულად, აშშ

ვალუტაში პირველივე ხელმისაწვდომი თანხიდან, ინვოისის თარიღიდან 30 დღის განმავლობაში განურჩევლად იმისა, გამოყენებულია თუ არა ინფორმაცია ან უზრუნველყოფილია თუ არა წვდომა ინფორმაციაზე. პროცენტი გადასახდელი იქნება ინვოისის თარიღიდან იმ დრომდე, როდესაც მოხდება გადასახდელი თანხების დაფარვა. ხელმომწერმა უნდა აიღოს სრული პასუხისმგებლობა ნებისმიერი გადასახადის, საფასურის ან ანარიცხის გადახდაზე, რომლებიც ეკისრება ხელმომწერს ან NASDAQ-ს (გარდა NASDAQ-ზე დაკისრებული აშშ-ის ფედერალური, სახელმწიფო ან ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადებისა, ასეთის შემთხვევაში) რომელიმე უცხო ქვეყნის ან საკუთარი ქვეყნის ეროვნული, საშტატო, საოლქო ან ადგილობრივი სამთავრობო ორგანოს ან ასეთი ორგანოს ქვედანაყოფის მიერ, და ასევე, ყველა ჯარიმის ან პროცენტის გადახდაზე, რომლებიც უკავშირდება ინფორმაციის მიწოდებას ხელმომწერისთვის.

3. ინფორმაციის გამოყენება ლიცენზირებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის არაპროფესიონალ ხელმომწერების მიერ და შიდა საქმიანი და/ან პირადი მოხმარებისთვის პროფესიული ხელმომწერების მიერ. ვენდორის წინაშე არაპროფესიონალ ხელმომწერად წარდგენით, ანდა ინფორმაციის არაპროფესიონალი ხელმომწერის ტარიფით მიღების გაგრძელებით, ხელმომწერი უდასტურებს ვენდორს და NASDAQ-ს, რომ ხელმომწერი შეესაბამება არაპროფესიონალი ხელმომწერის იმ განსაზღვრებას, რომელიც ზემოთ, ამ ხელშეკრულების 1-ელ პარაგრაფშია მოცემული. ხელმომწერმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს ვენდორს სახელის ან იმ საცხოვრებელი თუ ბიზნესის მისამართის ცვლილების შესახებ, სადაც ის ინფორმაციას იღებს. ხელმომწერს არა აქვს უფლება მიყიდოს, იჯარით მისცეს, მიაწოდოს მონაცემები ნებისმიერ სხვა პირს ან სხვაგვარად დაუშვას ან უზრუნველყოს წვდომა ინფორმაციაზე რომელიმე სხვა ოფისსა თუ ადგილზე. ხელმომწერი არ მიიღებს მონაწილეობას რაიმე არალეგალურ ბიზნესში; არ მისცემს სხვას უფლებას, გამოიყენოს ინფორმაცია ან მისი რომელიმე ნაწილი უკანონო მიზნებისთვის; ანდა არ დაარღვევს NASDAQ-ის რომელიმე წესს ან რეგულაციას. პროფესიონალ ხელმომწერს აქვს უფლება, არარეგულარულად, შეზღუდული მოცულობით მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებლებს: წერილობითი რეკლამების, კორესპონდენციის ან სხვა ლიტერატურის სახით; ან ხმოვანი სატელეფონო საუბრების დროს, რომელიც არ მოიცავს კომპიუტერიზებულ ხმას, საინფორმაციო ცნობარის ავტომატიზებულ სისტემებს ან მსგავს ტექნოლოგიებს. ხელმომწერს არა აქვს უფლება, წარადგინოს ინფორმაცია, რომელიც მიწოდებულია რაიმე უსამართლო, შეცდომაში შემყვან ან დისკრიმინაციულ ფორმატში. ხელმომწერმა უნდა მიიღოს უსაფრთხოების სათანადო ზომები, რათა აღკვეთოს არაავტორიზებული პირების წვდომა ინფორმაციასთან.

4. ხელმომწერი აღიარებს, რომ NASDAQ-ს აქვს უფლება, პერიოდულად, საკუთარი შეხედულებისამებრ, მოახდინოს მისი სისტემის ან ინფორმაციის მოდიფიკაცია. ასეთმა მოდიფიკაციებმა შესაძლოა მოითხოვოს შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ვენდორის მომსახურებაში. ვენდორის ან ხელმომწერის მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა ან ცვლილებების დროულად განუხორციელებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს

წყვეტა ხელმომწერის მიერ ინფორმაციის გამოყენებასა ან წვდომაში ან მოახდინოს მასზე სხვაგვარი ზემოქმედება. NASDAQ-ი არ არის პასუხისმგებელი ასეთ შედეგებზე.

5. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადით, NASDAQ-ი ხელმომწერს ანიჭებს არაექსკლუზიურ ლიცენზიას, ამ ლიცენზიის გადაცემის უფლების გარეშე, რათა ხელმომწერმა მიიღოს ვენდორის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და შემდეგ ასეთი ინფორმაცია გამოიყენოს ნებისმიერი ისეთი მიზნით, რაც შესაბამისობაში იქნება ამ ხელშეკრულების პირობებთან ან NASDAQ-ის წესებთან. ხელმომწერი აღიარებს და ეთანხმება, რომ NASDAQ-ს აქვს საკუთრების უფლებები იმ ინფორმაციაზე, რომელიც იქმნება ბაზრებზე ან გამომდინარეობს იმ ბაზრებიდან, რომლებსაც არეგულირებს ან მართავს NASDAQ-ი; ასევე კომპილაციის ან სხვა უფლებები იმ ინფორმაციაზე, რომელიც სხვადასხვა წყაროდან არის შეგროვილი. ხელმომწერი ასევე აღიარებს და ეთანხმება, რომ NASDAQ-ის ინფორმაციის პროვაიდერ მესამე მხარეებს აქვთ ექსკლუზიური საკუთრების უფლებები თავ-თავიანთ ინფორმაციაზე. ინფორმაციის მითვისების ან არასათანადოდ გამოყენების შემთხვევაში, NASDAQ-ს ან ინფორმაციის პროვაიდერ მესამე მხარეებს აქვთ უფლება, მოიპოვონ სასამართლოსგან მათი შესაბამისი მასალების გამოყენების აკრძალვა. ხელმომწერმა ყველა ვითარებაში უნდა მიუთითოს შესაბამისი წყარო.

6. ხელმომწერი აღიარებს, რომ NASDAQ-ს, როგორც NASD-ის ფილიალს და როდესაც NASD-ს სჭირდება ამის გაკეთება NASD-ის კანონიერი ვალდებულებების შესასრულებლად, აქვს უფლება, ვენდორისთვის შეტყობინების მიწოდების გზით, ცალმხრივად შეზღუდოს ან შეწყვიტოს ნებისმიერი ან ყველა პირის უფლება, მიიღოს ან გამოიყენოს ინფორმაცია, ხოლო ვენდორი დაუყოვნებლივ შეასრულებს ნებისმიერ ასეთ შეტყობინებას და შეუწყვეტს ან შეუზღუდავს პირს ინფორმაციის მიწოდებას და წერილობითი შეტყობინებით დაუდასტურებს NASDAQ-ს ასეთი შეტყობინების შესრულებას. ნებისმიერი პირისთვის, ვისაც ასეთი შეზღუდვა ან შეწყვეტა შეეხება, ხელმისაწვდომი იქნება ისეთი პროცედურული დაცვა, რომელიც განსაზღვრულია „საფონდო ბირჟის შესახებ“ კანონით და ამ კანონის შესაბამისი წესებით. არც NASDAQ-ს და არც NASD-ს არ ეკისრება რაიმე ვალდებულება ასეთი შეტყობინების შესრულების დროს. (ხელმომწერის ხელშეკრულების ნიმუში გვერდი 3)

7. პროფესიონალმა ხელმომწერმა, ნებისმიერ სათანადო დროსა და სათანადო შეტყობინების საფუძველზე, NASDAQ-ისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მისი ობიექტები, რათა მან შეძლოს ვენდორის მომსახურების და პროფესიონალი ხელმომწერის მიერ ინფორმაციის გამოყენების ფიზიკური ინსპექტირება (მათ შორის ინფორმაციის გამოყენების და წვდომის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტაციის შესწავლა და ყველა იმ მოწყობილობის რაოდენობის და ადგილმდებარეობის შემოწმება, რომლებითაც ხდება ინფორმაციის მიღება), რათა უზრუნველყოფილი იქნეს წინამდებარე ხელშეკრულებასთან შესაბამისობა. არაპროფესიონალმა ხელმომწერმა დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს NASDAQ-ის ნებისმიერი გონივრული მოთხოვნა ისეთი ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც ეხება არაპროფესიონალი ხელმომწერის მიერ ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას, დემონსტრირებას და გავრცელებას.

8. მოქმედი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელმომწერი აღიარებს და ეთანხმება, რომ გადაუხდელობის გამო ვენდორის მომსახურების შეწყვეტა არ ჩაითვლება, და ხელმომწერი უარყოფს უფლებას, წარმოაჩინოს ან ამტკიცოს, რომ ნებისმიერი ასეთი მოქმედება ითვლება, NASDAQ-ის მხრიდან ქმედებად ან უმოქმედობად ანდა ნებისმიერ იმ სერვისსა თუ მოწყობილობასთან წვდომის არასათანადო შეწყვეტად ან შეზღუდვად, რომლებითაც NASDAQ-ი ოპერირებს „ფასიანი ქაღალდების შესახებ" კანონის 11A მუხლის ან „ფასიანი ქაღალდების შესახებ" კანონის ნებისმიერი სხვა დებულების ანდა ამ კანონის ფარგლებში მიღებული რაიმე წესის, რეგულაციის ან ინტერპრეტაციის თანახმად.

9. **NASDAQ-ის გარანტიები/გარანტიების უარყოფა.** NASDAQ-ი ძალისხმევას არ დაიშურებს, რომ უზრუნველყოს ინფორმაციის იმდენად სწრაფად და ზუსტად მიწოდება, რამდენადაც პრაქტიკულად არის შესაძლებელი. იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი იმის გამო, რომ NASDAQ-ი ვერ ასრულებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, NASDAQ-ი, სათანადო ხარჯის, დროის და სხვა მომხმარებლებზე ზეგავლენის გათვალისწინებით, ძალისხმევას არ დაიშურებს, რომ აღმოფხვრას ნებისმიერი ასეთი შეფერხება. თუ ისეთ დროს, როდესაც NASDAQ-ი რეგულარულად გადასცემს ინფორმაციას, ინფორმაცია ხელმიუწვდომელია, აგვიანებს, წყვეტილია, არასრულია ან არაზუსტია ანდა სხვაგვარად სერიოზულად ხარვეზიანია უწყვეტად 4 (ოთხ) ან მეტის საათის განმავლობაში NASDAQ-ის მიზეზით (გარდა ისეთი მიზეზისა, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებით ან ვენდორთან NASDAQ-ის ხელშეკრულებით), NASDAQ-ის წინააღმდეგ ხელმომწერის ან სხვა პირის დაცვის ექსკლუზიური უფლება იქნება: (ა) თუ ხელმომწერი ან ნებისმიერი სხვა პირი აგრძელებს ინფორმაციის ან რაიმე სხვა მონაცემების და/ან NASDAQ-ის მიერ შეთავაზებული ინფორმაციის მიღებას, ნებისმიერი იმ თანხის (ასეთის არსებობისას) პროპორციული თვიური კრედიტი, რომელიც ხელმომწერმა ან ზემოაღნიშნულმა სხვა პირმა (ასეთის არსებობისას) უნდა გადაუხადოს უშუალოდ NASDAQ-ს ასეთი ხარვეზიანი ინფორმაციისთვის დროის იმ პერიოდისთვის, როდესაც ინფორმაცია იყო ხარვეზიანი, ანდა (ბ) თუ ხელმომწერი ან ნებისმიერი სხვა პირი აღარ იღებს ინფორმაციას ან რაიმე სხვა მონაცემებს და/ან NASDAQ-ის მიერ შეთავაზებულ ინფორმაციას, ნებისმიერი იმ თანხის (თუ ასეთი არსებობს) პროპორციული თვიური დაბრუნება, რომელიც ხელმომწერმა ან ზემოაღნიშნულმა სხვა პირმა (ასეთის არსებობისას) უნდა გადაუხადოს უშუალოდ NASDAQ-ს ასეთი ხარვეზიანი ინფორმაციისთვის დროის იმ პერიოდისთვის, როდესაც ინფორმაცია იყო ხარვეზიანი. ასეთი კრედიტის ან თანხის დაბრუნების მოთხოვნა უნდა მოხდეს NASDAQ-ისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით, რომელშიც ყველა შესაბამისი დეტალი იქნება აღწერილი. გარდა იმ გარანტიებისა, რომლებიც ამ პარაგრაფშია განსაზღვრული, არ არსებობს რაიმე სხვა სახის, ცალსახა, ნაგულისხმევი ან იურიდიული გარანტია (მათ შორის, და არა მარტო, დროულობის, სამართლიანობის, თანმიმდევრობის, სისრულის, სიზუსტის, უწყვეტობის გარანტია), რაიმე ნაგულისხმევი გარანტია, რომელიც ეხება სავაჭრო გამოყენებას, საქმიანი ოპერაციების წარმართვის ჩვეულებრივ პრაქტიკას ან საქმიანობის შესრულების მიმდინარეობას, ანდა ნაგულისხმევი გარანტია კომერციული ვარგისიანობის ან კონკრეტული მიზნით გამოყენების ვარგისიანობის შესახებ.

10. **NASDAQ-ის პასუხისმგებლობის შეზღუდვა.** (ა) თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით, NASDAQ-ი არ არის პასუხისმგებელი ხელმომწერის, ვენდორის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე რაიმე სახის ირიბ, საგანგებო, სადამსჯელო, თანმდევ ან შემთხვევით დანაკარგსა ან ზარალზე (მათ შორის, შეუზღუდავად, სავაჭრო დანაკარგები, დაკარგული მოსალოდნელი მოგება, დანაკარგი ოპერირების დახურვის ან ოპერირების გაზრდილი ხარჯების გამო, დამზადების ხარჯები, ან სხვა ირიბი დანაკარგი და ზარალი), რომლებიც წარმოიშვება რაიმე მიზეზით, მაშინაც კი, თუ NASDAQ-ი ინფორმირებული იყო ასეთი ზარალის შესაძლებლობაზე. (ბ) NASDAQ-ი არ არის პასუხისმგებელი ხელმომწერის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე თუ ისეთ დროს, როდესაც NASDAQ-ი რეგულარულად გადასცემს ინფორმაციას, ინფორმაცია ხელმიუწვდომელია, აგვიანებს, წყვეტილია, არასრულია ან არაზუსტია 4 (ოთხ) საათზე ნაკლები დროის განმავლობაში ანდა თუ ისეთ დროს, როდესაც NASDAQ-ი რეგულარულად გადასცემს ინფორმაციას, ინფორმაცია სერიოზულად ხარვეზიანია უწყვეტად 4 (ოთხ) საათზე ნაკლები დროის განმავლობაში. (გ) თუ NASDAQ-ი, რაიმე მიზეზით, იქნა პასუხისმგებელი ხელმომწერის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე, დელიქტის ან კონტრაქტის საფუძველზე, NASDAQ-ის პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ერთი წლის (ხელშეკრულების ამოქმედების თარიღიდან) განმავლობაში [ერთობლივად ხელმომწერის ვენდორის ყველა მოთხოვნის ან დანაკარგის და იმ კომპენსაციის ჯამთან ერთად, რომელსაც ნებისმიერი სხვა პირი ითხოვს ხელმომწერის მეშვეობით, ხელმომწერის სახელით, ან როგორც ხელმომწერის მიერ დაზარალებული] ლიმიტირებულია ხელმომწერის ზარალის იმ თანხით, რომელიც სათანადოდ არის დადასტურებული, რომ ხელმომწერმა რეალურად განიცადა და რომელი თანხაც არ აღემატება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან უმცირესს: (I) თუ ხელმომწერი ან ნებისმიერი სხვა პირი აგრძელებს ინფორმაციის ან რაიმე სხვა მონაცემების და/ან NASDAQ-ის მიერ შეთავაზებული ინფორმაციის მიღებას, ნებისმიერი იმ თანხის (თუ ასეთი არსებობს) პროპორციული თვიური კრედიტი, რომელიც ხელმომწერმა ან ნებისმიერმა სხვა პირმა (ასეთის არსებობისას) უნდა გადაუხადოს უშუალოდ NASDAQ-ს ასეთი ხარვეზიანი ინფორმაციისთვის დროის იმ პერიოდისთვის, როდესაც ინფორმაცია იყო ხარვეზიანი, ანდა თუ ხელმომწერი ან ნებისმიერი სხვა პირი აღარ იღებს ინფორმაციას ან რაიმე სხვა მონაცემებს და/ან NASDAQ-ის მიერ შეთავაზებულ ინფორმაციას, ნებისმიერი იმ თანხის დაბრუნება, რომელიც ხელმომწერმა ან სხვა პირმა (ასეთის არსებობისას) უნდა გადაუხადოს უშუალოდ NASDAQ-ს ასეთი ხარვეზიანი ინფორმაციისთვის დროის იმ პერიოდისთვის, როდესაც ინფორმაცია იყო ხარვეზიანი; ანდა (II) 500.00 აშშ დოლარი. (დ) ეს პარაგრაფი არ ათავისუფლებს NASDAQ-ს, ხელმომწერს ან ნებისმიერ სხვა პირს პასუხისმგებლობისგან იმ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მათი უხეში დაუდევრობის ან განზრახ უკანონო ქმედების შედეგად, ანდა ფიზიკური დაზიანების მიყენებაზე ან სიკვდილის გამოწვევაზე საჩივრებისგან. (ე) ხელმომწერი და NASDAQ-ი აცნობიერებენ და ეთანხმებიან, რომ ამ პარაგრაფის დებულებები ასახავს რისკის გონივრულ განაწილებას და პასუხიმგებლობის სათანადო შეზღუდვას.

11. **ინფორმაციის პროვაიდერი მესამე მხარეების გარანტიის უარყოფა/პასუხისმგებლობის შეზღუდვა.** NASDAQ-ის ინფორმაციის პროვაიდერი მესამე მხარეები არ იძლევიან რაიმე სახის,

ცალსახა, ნაგულისხმევ ან იურიდიული გარანტიას (მათ შორის, შეუზღუდავად, დროულობის, სამართლიანობის, თანმიმდევრობის, სისრულის, სიზუსტის, უწყვეტობის გარანტიას), რაიმე ნაგულისხმევ გარანტიას, რომელიც ეხება სავაჭრო გამოყენებას, საქმიანი ოპერაციების წარმართვის ჩვეულებრივ პრაქტიკას ან საქმიანობის შესრულების მიმდინარეობას, ანდა ნაგულისხმევ გარანტიას კომერციული ვარგისიანობის ან კონკრეტული მიზნით გამოყენების ვარგისიანობის შესახებ და მათ არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე ან დაგვიანებასა თუ გამოტოვებაზე. ასევე, NASDAQ-ის ინფორმაციის პროვაიდერი მესამე მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი ხელმომწერის ან ხელმომწერის მეშვეობით კომპენსაციის მაძიებელი რომელიმე სხვა პირის ზარალზე, იქნება ეს პირდაპირ ან ირიბი ზარალი, დაკარგული მოსალოდნელი მოგება, ირიბი, საგანგებო თუ თანმდევი ზარალი მაშინაც კი, თუ NASDAQ-ი ინფორმირებული იყო ასეთი ზარალის შესაძლებლობაზე. არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ინფორმაციის პროვაიდერი მესამე მხარეების ან მათთან დაკავშირებული პირების პასუხისმგებლობა ხელმომწერის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე, რომელიც ხელმომწერის მეშვეობით ეძიებს კომპენსაციას რაიმე მიზეზით, იქნება ეს კონტრაქტის თუ დელიქტის საფუძველზე თუ სხვაგვარად, აღემატებოდეს საფასურს, რასაც ხელმომწერი ან ხელმომწერის მეშვეობით კომპენსაციის მაძიებელი რომელიმე სხვა პირი იხდის.

12. ამ ხელშეკრულების რომელიმე სხვა დებულების ან პირობის მიუხედავად, NASDAQ-ს, მისი ინფორმაციის პროვაიდერ მესამე მხარეებს ან ხელმომწერებს არა აქვთ ვალდებულება, შეასრულონ და დაიცვან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი თავ-თავიანთი ვალდებულებები (გარდა ვალდებულებისა, გადაიხადონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადები და შეასრულონ მარეგულირებელი ვალდებულებები), თუ ამის გაკეთებაში მათ ხელს უშლის ნებისმიერი ისეთი ვითარება, რომელიც მათი კონტროლის მიღმაა.

13. ხელმომწერი გაათავისუფლებს NASDAQ-ს და მის თანამშრომლებს, ოფიცრებს, დირექტორებს და სხვა აგენტებს პასუხისმგებლობისა და ზარალის ანაზღაურებისგან ნებისმიერ და ყველა იმ მოთხოვნასა თუ დანაკარგთან მიმართებით, რომლებიც დაეკისრა, მიადგა ანდა გამომდინარეობს ან უკავშირდება: (ა) ხელმომწერის რაიმე შეუსაბამობას ამ ხელშეკრულების პირობებთან; და (ბ) ნებისმიერი მესამე მხარის ქმედებას, რომელიც ეხება ხელმომწერის მიერ ინფორმაციის მიღებას ან გამოყენებას, განურჩევლად იმისა ავტორიზებულია თუ არაავტორიზებული წინამდებარე ხელშეკრულებით.

14. თითოეული მხარე იძლევა გარანტიას და აცხადებს, რომ გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან და ზარალის ანაზღაურებისგან (და ნებისმიერ შემთხვევაში, NASDAQ -ს აქვს უფლება ერთპიროვნულად დაიცვას და მოაგვაროს) მეორე მხარეს (მათ შორის NASDAQ-ს) და მის ოფიცრებს, დირექტორებს, თანამშრომლებს და სხვა აგენტებს იმ მოთხოვნასა თუ დანაკარგთან მიმართებით, რომელიც გამომდინარეობს, მოიცავს ან ეხება პრეტენზიას ანაზღაურების პასუხისმგებლობის მქონე მხარის მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლების გაყალბებასა ან სხვა დარღვევაზე, მის ქმედებასა თუ უმოქმედობაზე, აღჭურვილობასა ან სხვა ქონებაზე. ეს უფლება დამოკიდებულია პასუხისმგებლობისგან

გათავისუფლებული მხარის მიერ ასეთი მოთხოვნებისა ან დანაკარგების შესახებ წერილობითი შეტყობინების ანაზღაურების პასუხისმგებლობის მქონე მხარისთვის (ისე, რომ არ შეილახოს დაცვა) დაუყოვნებლივ გაგზავნაზე და მოთხოვნებისა ან დანაკარგების დაცვაში თანამშრომლობის უზრუნველყოფაზე (ადვოკატი-კლიენტის, სამუშაო-პროდუქტის ან სხვა იურიდიული პრივილეგიის უარყოფის გარეშე ან ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებით, რომელიც კანონმდებლობის მოთხოვნით უნდა იყოს კონფიდენციალური).

15. ხელმომწერი აღიარებს, რომ NASDAQ-ს შეუძლია სასამართლოს ძალით აღასრულოს ამ ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება ნებისმიერი პირის მიმართ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ვენდორი ან ხელმომწერი ასეთი პროცესის მხარე, ან თავად ხელმომწერის მიმართ. ნებისმიერ ასეთ პროცესში ხელმისაწვდომი იქნება სასამართლოს აკრძალვა ან ზარალი, რომელშიც მოგებულ მხარეს მიენიჭება ხარჯები და ადვოკატების ჰონორარები (მათ შორის, შიდა კონსულტაცია). 16. წინამდებარე ხელშეკრულებასა და ვენდორის ხელშეკრულებას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს, როგორც NASDAQ-სა და ხელმომწერს შორის შეთანხმებას.

16. ვენდორის შეთანხმებით დაშვებული ხელშეკრულების შეწყვეტის გარდა, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება აქვს ხელმომწერს ვენდორისთვის 30 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ხოლო NASDAQ-ს ვენდორისთვის ან ხელმომწერისთვის 30 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. NASDAQ-ს ასევე აქვს უფლება, ცვლილება შეიტანოს ამ ხელშეკრულების ნებისმიერ დებულებაში ვენდორისთვის ან ხელმომწერისთვის 60 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ხოლო ასეთი თარიღის შემდეგ ინფორმაციის გამოყენება მიჩნეული იქნება თანხმობად ახალ პირობებზე. თუ ხელმომწერმა ჩაიდინა დარღვევა ან მისი რომელიმე განცხადება ყალბი აღმოჩნდა, ანდა NASD-მა, მისი მარეგულირებელი უფლებამოსილების ფარგლებში, გასცა მითითება, NASDAQ-ს აქვს უფლება, შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ხელმომწერისთვის მინიმუმ 3 (სამი) დღით ადრე NASDAQ-ის ან ვენდორის მიერ ხელმომწერისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

17. NASDAQ-ი არ იწონებს ან ამტკიცებს რაიმე აღჭურვილობას, ვენდორს ან ვენდორის მომსახურებას.

18. ფიზიკური პირები, რომლებიც დებენ ამ ხელშეკრულებას, იძლევიან გარანტიას და აცხადებენ, რომ არიან მინიმუმ 18 წლის. ხელმომწერი და ის პირი, რომელიც ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას ხელმომწერის სახელით, რომელიც არის ინდივიდუალური მეწარმე, კორპორაცია, პარტნიორობა ან სხვა ორგანიზაცია, აცხადებს, რომ ეს პირი არის სათანადოდ უფლებამოსილი ყველა საჭირო და სათანადო კორპორაციული ან სხვა ქმედებით, გააფორმოს ხელშეკრულება ხელმომწერის სახელით. ამ ხელშეკრულების დადებით, ხელმომწერი ადასტურებს, რომ ის არის არაპროფესიონალი ხელმომწერი და მიიღებს და გამოიყენებს საბაზრო მონაცემებს მხოლოდ პირადი, არასაქმიანი მოხმარებისთვის.

19. ყველა შეტყობინება, ინვოისი და სხვა კომუნიკაცია, რომელიც ამ ხელშეკრულების თანახმად წერილობითი ფორმით უნდა იყოს მიწოდებული, უნდა გაეგზავნოს NASDAQ-ს შემდეგ მისამართზე: The NASDAQ Stock Market, Inc., 1735 K Street, NW, Washington, DC 20006, ვის: საბაზრო მონაცემების განაწილების მენეჯერი; ანდა ხელმომწერს იმ მისამართზე, რომელიც ვენდორისთვის ცნობილი ხელმომწერის ბოლო მისამართია; ასეთი კომუნიკაცია სათანადოდ მიწოდებულად ჩაითვლება მხარეების მიერ ფაქტობრივი მიღებისთანავე, ანდა თუ გაგზავნილია შეკვეთილი ფოსტით, წინასწარ გადახდილი საფოსტო საფასურით, ჩაბარების დამადასტურებელი ქვითრის მოთხოვნით, მიღებულად ჩაითვლება ისეთ მისამართსა ან სხვა მისამართზე, რომელსაც ხელშეკრულების მხარეები დააფიქსირებენ ხელშეკრულების მეორე მხარისთვის ან მხარეებისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.

20. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ შეიძლება შესწორდეს, შეიცვალოს ან უარყოფილი იქნეს წერილობითი ინსტრუმენტის გარეშე, რომელიც ხელმოწერილია იმ მხარის სათანადოდ უფლებამოსილი ხელმომწერის მიერ, რომელთან მიმართებითაც ხდება ასეთი შესწორება, ცვლილება ან უარყოფა. NASDAQ-ის ან ხელმომწერის მხრიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების, ძალაუფლების, ან პრივილეგიის გამოუყენებლობა, დაგვიანებით გამოყენება და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებასთან, ძალაუფლებასა, ან პრივილეგიასთან დაკავშირებით ჩვეულებრივი პრაქტიკიდან გადახვევა არ იქნება მიჩნეული მათი შესრულების უარყოფად; არც რომელიმე უფლების, ძალაუფლების, ან პრივილეგიის ერთხელ ან ნაწილობრივ გამოყენება არ შეაჩერებს მათ ნებისმიერ სხვა ან შემდგომ გამოყენებას ანდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა უფლების, ძალაუფლების, ან პრივილეგიის გამოყენებას. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება, ან მისი გამოყენება რომელიმე პირის ან ვითარების მიმართ, ამა თუ იმ ხარისხით იქნა ძალადაკარგულად მიჩნეული, ეს არ შეეხება ხელშეკრულების დანარჩენ დებულებებს, ანდა ასეთი პირობების გამოყენებას პირების ან ვითარებების მიმართ იმ ნაწილის გამოკლებით, რომლებიც მიჩნეული იქნა ძალადაკარგულად, და ამ ხელშეკრულების ყველა ასეთი პირობა და დებულება იქნება ძალაში და სრულად აღსრულებადი კანონის თანახმად.

21. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ეხება იმ ვალდებულებებს, რომლებიც ძალაში რჩება ნებისმიერი გაუქმების, შეწყვეტის ან შეჩერების შემდეგ, კერძოდ, ვალდებულებებს, რომლებიც ეხება ინტელექტუალურ საკუთრებას, პასუხისმგებლობის და ანაზღაურების გადახდის მოთხოვნისგან გათავისუფლებას, პასუხიმგებლობის შეზღუდვას, გარანტიებს, გარანტიების უარყოფას, და „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონთან დაკავშირებულ დებულებებს.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია შეერთებულ შტატების ნიუ-ჯერსის შტატში და ინტერპრეტირებული და აღსრულებული უნდა იქნეს, ხოლო მისი ქმედითობა და შესრულება

უნდა რეგულირდებოდეს ნიუ-ჯერსის შტატის კანონების მიხედვით, სამართლის კოლიზიის პრინციპების მითითების გარეშე. ხელმომწერი თანახმაა, წარსდგეს ნიუ-ჯერსის შტატის სასამართლოების იურისდიქციის წინაშე ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავასა ან სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.